პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 3 თებერვალი, 1948 წ. № 24 (8068). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

დღეს გაზეთში:

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ბოლშევიკური ტემპი. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია (1-ლი გვერდი).
კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება 1948 წელს (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენება (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ბოლშევიკური ტემპი

დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწყებს ჩვენი ქვეყნის 1948 წლის — ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი სოციალისტური ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, სოციალისტური კულტურის ზრდის და მშრომელი მასების კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის გიგანტური სახალხო-სამეურნეო და საფინანსო პროგრამაა. ჩვენი ქვეყნის მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენს კოლოსალურ თანხას — 428 მილიარდ მანეთს. ბიუჯეტით დასახულია შემოსავლის გადამეტება გასავალზე 40 მილიარდზე მეტი მანეთით, რაც მოწმობს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას და საბჭოთა საფინანსო სისტემის სიმტკიცეს. გასული წლის დამლევს განხორციელებულმა ფულის რეფორმამ აღადგინა სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი, განამტკიცა საბჭოთა ფულის სისტემა და ჩვენი ფინანსები გახადა კიდევ უფრო ძლიერ იარაღად სოციალისტური სახელმწიფოს ხელში.

1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში. სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად განზრახულია დაიხარჯოს 149 მილიარდი მანეთი, შარშანდელზე 16,3 მილიარდი მანეთით მეტი. ამასთან უდიდესი ასიგნებანი მოხმარდება კაპიტალურ მშენებლობას—ისინი ნავარაუდევია 60,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ამ ციფრში გამოხატულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ აღებული გეზი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მაღალი ბოლშევიკური ტემპისა. ამ ციფრში გამოხატულია სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, რომელსაც უნარი შესწევს სწრაფი ტემპით იაროს მეურნეობისა და კულტურის ომისშემდგომი აღმავლობის გზით.

ცნობილია, თუ რა დიდი ზარალი განიცადა ჩვენმა ქვეყანამ გერმანულ ფაშისტური ოკუპაციისაგან. რსფსრ იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, სამრეწველო საწარმოთა რიცხვი შემცირდა 7,7-ჯერ, უკრაინის რაიონებში — 5,3-ჯერ, ბელორუსიაში — 6,8-ჯერ. ბარბაროსული შემოსევის კვალის ლიკვიდაციისათვის საჭიროა უდიდესი ღონისძიებანი. ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძთ საბჭოთა ადამიანებს, რომლებსაც აღაფრთოვანებს და წინ უძღვის ლენინ-სტალინის დიადი პარტია. ჯერ კიდევ ომის წლებში დაიწყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა და სრული ძალით გაჩაღდა იგი ჩვენი დიდი გამარჯვების შემდეგ.

დღეს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების მეხუთე წლისთავს, რაც განახორციელა წითელმა არმიამ და ჩვენმა საბჭოთა ხალხმა ჩვენი დიდი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. სტალინგრადთან დიდი ბრძოლა დამთავრდა 1943 წლის 2 თებერვალს. ეს იყო ძირითადი გარდატეხის წელი სამამულო ომის მსვლელობაში და საყოველთაო აღმავლობისა და დიადი გარდატეხის წელი სსრ კავშირის სამხედრო მეურნეობის ყველა დარგში. 1943 წელს დაიწყო უდიდესი აღდგენითი სამუშაოები იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ჩვენი არმია თანდათან სწმენდდა მტრისაგან. ჯერ კიდევ ომის დროს 1943-1944 წლებში სსრ კავშირის განთავისუფლებულ რაიონებში ამუშავებულ იქნა ელექტროსადგურები ერთი მილიონი კილოვატის სიმძლავრისა, ამუშავებულ იქნა ათასზე მეტი ძირითადი და მცირე ქვანახშირის შახტი, 13 ბრძმედი, 28 საგლინავი დაზგა. ომის დამთავრების შემდეგ, როცა ჩვენმა ხალხმა თავისი მთავარი და ძირითადი ძალები გადაიყვანა დანგრეულის აღდგენაზე, აღდგენითი სამუშაოების ტემპი ყოველ თვე, ყოველ წელიწადს იზრდებოდა. ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აგებულ, აღდგენილი და ამუშავებულია 1900-მდე სახელმწიფო საწარმო. ამავე დროს დიდი სამუშაოები სწარმოებდა ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად. მილიონობით კოლმეურნეები გადასახლდნენ მიწურებიდან კეთილმოწყობილ სახლებში. შარშან საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა ააშენეს და აღადგინეს 9 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, მოქალაქეებმა თავიანთი შრომითი დანაზოგით ინდივიდუალური წესით ააშენეს ქალაქებსა და მუშათა დაბებში 4 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

წელს ჩვენ უნდა აღვადგინოთ და ავაშენოთ ასობით საწარმო, ბინების დიდი რაოდენობა. წლევანდელი გეგმის თავისებურება ის არის, რომ იგი ითვალისწინებს დაბანდებათა თავმოყრას უწინარეს ყოვლისა ისეთ მშენებლობებზე, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა ამუშავდნენ. წინათ იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როცა მრავალ მშენებლობაზე სახსრების დაქსაქსვის შედეგად ახალ მშენებლობათა ამუშავება ჩამორჩებოდა გეგმას. სახსრების, მასალების და პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ღონისძიებათა კონცენტრაცია ასამუშავებელ ობიექტებზე შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სახელმწიფოს დააჩქაროს ახალ საწარმოთა ამუშავება და უფრო სწრაფად მიიღოს ჩვენი ქვეყნის მიერ განხორციელებულ უდიდეს კაპიტალდაბანდებათა შედეგები. ამასთან ერთად მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა მშენებლობის ღირებულების ყოველმხრივ შემცირება, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის დაცვა.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, უმნიშვნელოვანესი სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შენახვისათვის მოითხოვენ ენერგიულ ბრძოლას ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლების მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. ფულის რეფორმის გატარებამ, მანეთის მყიდველობითი ძალის ზრდამ დამატებითი სტიმულები შექმნეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და, ამრიგად, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით, მთელი სამეურნეო და საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებით ჩვენ ახლა უნდა განვამტკიცოთ ფულის რეფორმის შედეგები. პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო კადრები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ვალდებული არიან მიაღწიონ წარმოების ხარჯების ყოველმხრივ შემცირებას, რენტაბელობის გაზრდას და მოგების გადიდებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამ მიმართულებით ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია მოსკოვის მთელი რიგი ქარხნების დირექტორთა ინიციატივა, რომელთა წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ სტალინისადმი გამოქვეყნებულია დღეს „პრავდაში". დედაქალაქის ცხრა საწარმოს კოლექტივებმა, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი საწარმოო პროგრამა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გახდნენ რენტაბელური, მიიღეს გადაწყვეტილება: უარი სთქვან სახელმწიფო დოტაციაზე და ამით დაუზოგონ ჩვენს ქვეყანას მრავალი ათეული მილიონი მანეთი. ესენი არიან: კაგანოვიჩის სახელობის საკისარების პირველი ქარხნის, სამოტოციკლო ქარხნის, ქარხანა „კომპრესორის", ქარხანა „მანომეტრის", ხელსაწყოთმშენებელი ქარხნის, მოწყობილობის ქარხნის, ელექტროტუმბოების ქარხნის, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნისა და კრასნაია პრესნიას ლაქ-საღებავების ქარხნის კოლექტივები. „რაც უფრო მაღალი იქნება მრეწველობაში დაგროვების ტემპი, რაც უფრო მომჭირნეობით იმუშავებს თვითეული საწარმო, მით უფრო ჩქარა განხორციელდება ხუთწლიანი გეგმის ამოცანები", — სწერენ მოსკოველი დირექტორები. ისინი სამართლიანად ფიქრობენ, რომ თვითეულმა საბჭოთა საწარმომ უნდა მიაღწიოს რენტაბელურ მუშაობას და ამის მიღწევა, უეჭველია, შეიძლება, თუ ბოლშევიკურად გამოვიყენებთ წარმოებაში არსებულ რეზერვებს, თუ განუხრელად სრულვყოფთ შრომის ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას, მომჭირნეობით დავხარჯავთ ნედლეულს, მასალას, სათბობს, ელექტროენერგიას, მივაღწევთ წარმოებაში წუნისა და სხვა დანაკარგების ლიკვიდაციას, სისტემატურად შევამცირებთ ზედნადებ ხარჯებს. უარის თქმა სახელმწიფო დოტაციაზე იმ ქარხნების კოლექტივების მიერ, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს რენტაბელობას, ჩვენს ქვეყანას მისცემს დამატებითს, გეგმის გარეშე დანაზოგს, რომელიც შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით აღვადგინოთ და განვავითაროთ სახალხო მეურნეობა.

ბოლშევიკური ტემპი ჩვენი ეკონომიური განვითარების კანონი გახდა. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხი მიაღწევს მიმდინარე წლის ყველა სამეურნეო და საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებას, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებას!

„პრავდის" 2/II მოწინავე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1948 წლის 2 თებერვლის სხდომის შესახებ

2 თებერვალს, დილის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** თანამოხსენება.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველ პუნქტზე. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ვ. ნ. პონომარენკო** (უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი** (ლატვიის სსრ კიროვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი** (საქართველოს სსრ თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **დ. ჯანგოზინი** (ყაზახეთის სსრ ალმა-ატის სასოფლო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **პ. გ. ბურილიჩევი** (მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), დეპუტატი **გ. ვ. ნიგმაჯანოვი** (ბაშკირეთის ასსრ ბელებეის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ნ. გ. კოვალი** (მოლდავეთის სსრ ოკნიცის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ი. კონდრატიევი** (მარეთის ასსრ იოშკარ-ოლის სასოფლო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. სამედოვი** (აზერბაიჯანის სსრ მასალის საარჩევნო ოლქი).

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1948 წლის 2 თებერვლის სხდომის შესახებ

2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** თანამოხსენება.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველ პუნქტზე. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ტ. ა. სელივანოვი** (ქალაქ მოსკოვის შჩერბაკოვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **დ. ს. კოროტჩენკო** (უკრაინის სსრ ამურ-ნიჟნედნეპროვსკის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **პ. ს. პოპკოვი** (ქალაქ ლენინგრადის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ი. როდიონოვი** (გორკის ოლქის გორკის — სტალინის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. მ. პუზანოვი** (კუიბიშევის ოლქის კინელის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ვ. კულაგინი** (ნოვოსიბირსკის ოლქის კუპინოს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ს. ბაბაევი** (თურქმენეთის სსრ ტაშაუზის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ვ. ვ. ლუკიანოვი** (კიროვის ოლქის კიროვის საქალაქო საარჩევნო ოლქი).

ამით იხურება კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

შრომის რეზერვების მხატვრული თვითმოქმედების მე-4 საკავშირო დათვალიერების დასკვნითი კონცერტი დიდ თეატრში

31 იანვარს, სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში შესდგა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-4 საკავშირო დათვალიერების დასკვნითი კონცერტი.

კონცერტი ახალგაზრდა ტალანტთა მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ჭაბუკური მხიარულების დაუშრეტელ წყაროდ ისმოდა სიმღერა სცენაზე. სხვადასხვა ხალხთა ტემპერამენტიანი ცეკვა სცვლიდა ერთმანეთს.

კონცერტი დაიწყო უდიდესი ნაკრები გუნდის გამოსვლით. თეატრის თაღები შესძრა კომპოზიტორ ა. ვ. ალექსანდროვის მიერ დაწერილმა ზეიმოვანმა და დიადმა „კანტატამ სტალინზე". შემსრულებლებმა ამ სიმღერას ჩააქსოვეს მთელი თავიანთი სიყვარული ხალხთა დიდი ბელადისადმი.

შესანიშნავი იყო ნორჩ ლენინგრადელთა გამოსვლა. მათს ცეკვასა და სიმღერას მქუხარე ტაშით შეხვდა მთელი დარბაზი.

შესრულების მაღალი კულტურა დაგვანახვეს მოსკოველი ქალიშვილების გუნდმა და დედაქალაქის ხალხურ საკრავთა ორკესტრმა. ქალაქ კუიბიშევის მოსწავლეთა გუნდმა დიდი გულთბილობით შეასრულა „სიმღერა ვოლგაზე" და „შრომის რეზერვთა სიმღერა".

უკრაინის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის კოლექტივებმა დიდი ოსტატობით შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვა.

მოსკოვის ნებაყოფლობითი საზოგადოების „შრომის რეზერვების" ფიზკულტურელებმა ცხადჰყვეს ძალა, სიმარჯვე და შეთანხმებულობა ტანვარჯიშსა და ჯგუფურ აკრობატიკაში.

მაგნიტოგორსკის სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეებმა ჭაბუკური ხალისით შეასრულეს „ურალური კადრილი".

დიდი წარმატება ჰქონდათ საქართველოს სსრ წარმომადგენლებს. მზიური საქართველოს ნორჩი მოქალაქეების მიერ შესრულებულმა ცოცხალმა ხალხურმა ცეკვამ მთელი დარბაზის აღტაცება გამოიწვია.

როსტოვის ოლქის მოსწავლეებმა ტაშის გრიალში დაამთავრეს დონის კაზაკთა ცეკვა „პოსეიუ ლებედუ ნა ბერეგუ".

ეს კონცერტი დამთავრდა წითელი მოედნის დეკორაციის ფონზე გამართული საზეიმო ბალით—„ახალგაზრდობის დღესასწაულით", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2.000-მდე ჭაბუკმა და ქალიშვილმა. როცა სცენის სიღრმეში ი. ბ. სტალინის მკაფიოდ გაშუქებული ვეებერთელა პორტრეტი გამოჩნდა, ტაშის გრიალმა და „ვაშას" შეძახილმა დაჰფარა მომღერალთა ხმა.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. კუზნეცოვი, მ. ა. სუსლოვი, გ. მ. პოპოვი, ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დათვალიერების მონაწილეებმა და მაყურებლებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს და მის თანამებრძოლებს. (საქტესი).

„ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი"

გამოფენა სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლიტერატურის გამოფენა, მიძღვნილი „ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომის" გამოსვლისადმი. ამ ტომში შეტანილია ი. ბ. სტალინის 1921-1923 წლებში დაწერილი ნაწარმოებნი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ამ პერიოდის წიგნები, ბროშურები, გაზეთების ფოტოასლები. მათში გამოქვეყნებულია ამხანაგ სტალინის სტატიები და სიტყვები. მინის ქვეშ არის გოელროს გეგმა. რუკაზე აღნიშნულია პუნქტები, სადაც პირველ რიგში დასახულია ელექტროსადგურების მშენებლობა. ქვემოთ არის ბლოკნოტის ორი პატარა ფურცელი. ეს არის ფოტოასლი ი. ბ. სტალინის წერილისა გოელროს გეგმის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინს გაეგზავნა.

გამოფენის მასალები ასახავენ ამხანაგ სტალინის უდიდეს როლს ნაციონალური საკითხის თეორიის განვითარებაში, ბოლშევიკური პარტიის ნაციონალურ პოლიტიკაში, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში. წარმოდგენილია ფოტოასლი ვ. ი. ლენინის წერილისა რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მას აქვს ი. ბ. სტალინის შენიშვნები. მხატვარ კ. ი. აფინოგენოვის სურათის რეპროდუქცია „ი. ბ. სტალინი და შუა აზიის რესპუბლიკების დელეგატები ვ. ი. ლენინთან", ბროშურები და წიგნები მკაფიოდ გვიხატავენ ამხანაგ სტალინის მხურვალე, დაუღალავ მოღვაწეობას სსრ კავშირის შექმნაში.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ფოტოასლი ცნობისა რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ სტალინის არჩევის შესახებ, რაც დაბეჭდილია 1922 წლის 4 აპრილის „პრავდაში".

გამოფენაზე ექსპონირებულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი: „დღიურის ფურცლები", „სჯობს ცოტა, მაგრამ კარგი" და სხვ., აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაშრომები, გამოსულნი სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. (საქტესი).

ვ. ი. ლენინის ძეგლები

ხარკოვის ოლქის რაიონულ ცენტრში — ქალაქ კუპიანსკში შევჩენკოს სახელობის მოედანზე გაიხსნა საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ვ. ი. ლენინის ძეგლი გაიხსნა აგრეთვე რაიონულ ცენტრებში მინკოვცასა და დერეჟნიაში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება 1948 წელს

საუბარი პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივან ამხ. ა. პ. ოსიპოვთან

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVII პლენუმის გადაწყვეტილებით, თებერვლისა და მარტის განმავლობაში მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა საწარმოში დაიდება კოლექტიური ხელშეკრულებანი ადმინისტრაციასა, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს შორის. კოლექტიურმა ხელშეკრულებამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, წარმოების ზრდის ისეთი ტემპების მიღწევას, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ხუთწლედი ოთხ წელიწადში შევასრულოთ. ამით უზრუნველყოფილ იქნება მუშა-მოსამსახურეთა საარსებო დონის შემდგომი ამაღლება.

ამჟამად საწარმოებში გაჩაღებულია მზადება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიისადმი. 1947 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება ცხადჰყოფს, რომ მათ გამოიწვიეს სოციალისტური შეჯიბრების დიდი აღმავლობა, გაადიდეს სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ შეიმუშავა სამინისტროებისა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების სანიმუშო სადირექტივო წერილი საწარმოთა დირექტორებისა და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებისადმი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების წესის შესახებ. ამ დოკუმენტის საფუძველზე პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და სამინისტროები შეიმუშავებენ სადირექტივო წერილებს მეურნეობის ამა-თუ იმ დარგის პირობების მიხედვით. ადმინისტრაციამ და საქარხნო კომიტეტმა მთელი რიგი სერიოზული ვალდებულებანი უნდა იკისრონ. ძირითადი ვალდებულებანი ითვალისწინებენ სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების განვითარებას, წარმოების ნოვატორებისადმი ყოველმხრივი დახმარების გაწევას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, ტექნიკურ სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებას. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს შრომისტევად სამუშაოთა ფართო მექანიზაციას, განსაკუთრებით ქვანახშირის, სამთამადნო, მეტალურგიული, სატყეო და სამშენებლო მრეწველობის დარგში, მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, ნედლეულის, სათბობის, მასალის მოზოგვას.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარება ახალი ტექნიკის, მოწინავე სტახანოვური გამოცდილების ათვისებასა და გავრცელებაში, მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში, საწარმოო-ტექნიკური სწავლების გაუმჯობესებაში. კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილ უნდა იქნას ვალდებულებანი საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის მეთოდების შესწავლის, თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა ფართო პროპაგანდის მოწყობის შესახებ. ამ მიზნით საჭიროა მოეწყოს ლექციები, მოხსენებანი, გამოფენები, მოწვეულ იქნას გამოცდილების გაზიარებისადმი მიძღვნილი თათბირები და კონფერენციები.

1948 წელს უნდა გაფართოვდეს მუშების სწავლება, მოეწყოს მასობრივი საწარმოო-ტექნიკური სწავლება მუშაობისაგან მოუწყვეტლივ, გადიდდეს სტახანოვური სკოლების ქსელი.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა შრომის პირობების უშიშროების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების, სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფისა და სხვ. საკითხებს. გათვალისწინებულია ვალდებულებანი საბინაო მშენებლობის ყოველმხრივ განვითარების, საბინაო ფონდის რემონტის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოების, კლუბების, პარკების, სტადიონების აღდგენისა და ახლების მშენებლობის შესახებ.

კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა ცხადჰყვეს თავისი დიდი დამრაზმველი ძალა, ისინი გახდნენ საწარმოებში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საფუძველი. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიაში საჭიროა ჩაბმულ იქნან მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა უფრო ფართო მასები.

1948 წლის კოლექტიური ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესი საშუალება იქნება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში. (საქტესი).

საჰაერო ნაოსნობის თავისუფლების დარღვევა შორეულ აღმოსავლეთში

მიღებული ცნობებით, უკანასკნელ თვეებში ამერიკის თვითმფრინავები, მათ შორის „მფრინავი ციხის" ტიპის ბომბდამშენები, დაჟინებით ათვალიერებენ ჰაერიდან საბჭოთა საჰაერო გემებს ყვითელსა და იაპონიის ზღვებში, თავს დასტრიალებენ მათ, დაბლა დაფრინავენ და კიდეც პიკირებენ. ამერიკის თვითმფრინავების ასეთი მოქმედება, ბუნებრივია, კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს საბჭოთა გემების ეკიპაჟისა და მგზავრების მხრივ. ამერიკის ხელისუფალთა უხეში ცდები თავიანთი კონტროლი დააწესონ ნაოსნობისადმი ყვითელ და იაპონიის ზღვებში, შორს ტერიტორიული წყლების ფარგლების გარეთ, შეიძლება გაგებულ იქნას ისე, რომ მათ სრულიად არა სურთ ანგარიში გაუწიონ სხვა ქვეყნების საჰაერო ნაოსნობის კანონიერ ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამა წლის 30 იანვარს ამერიკის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომლითაც აცნობებს ამერიკის თვითმფრინავების აღნიშნულ მოქმედებას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს საჰაერო ნაოსნობის თავისუფლების ზემოთაღნიშნულ დარღვევას. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, — ნათქვამია ნოტაში, — მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საჭირო მითითებას მისცემს ამერიკის სათანადო ხელისუფალთ მომავალში ასეთი დარღვევის შეუწყნარებლობის შესახებ. (საქტესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი ამოცანად ისახავს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დაფინანსების უზრუნველყოფას.

1947 წელმა მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში განვლო.

საბჭოთა კავშირი წარმატებით აღადგენს და ავითარებს თავის სახალხო მეურნეობასა და კულტურას, განუწყვეტლივ ზრდის ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას.

ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა მრეწველობის საერთო პროდუქციის მხრივ მთლიანად შესრულდა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობებით, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1947 წელს 1946 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, ყოველ კვარტალში მატულობდა: პირველ კვარტალში — 12 პროცენტით, მეორეში — 18 პროცენტით, მესამეში — 26 პროცენტით, მეოთხეში — 30 პროცენტით. შარშან პროდუქციის საერთო გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით, რამაც უზრუნველჰყო მისი ზრდა 1946 წელთან შედარებით 22 პროცენტით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისა და კოლმეურნეთა თავდადებული შრომის მეოხებით, ჩვენმა სოფლის მეურნეობამ დასძლია ომისშემდგომი პერიოდის სიძნელენი, რომლებიც გაღრმავებული იყო 1946 წლის გვალვით, და მტკიცედ მიდის წინ. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1947 წელს 1946 წელთან შედარებით გადიდდა 32 პროცენტით, ხოლო მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 58 პროცენტით.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრი ზრდის საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 17 პროცენტით გადიდდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი შარშან შესრულდა გასავალზე შემოსავლის 24,0 მილიარდი მანეთის გადამეტებით, ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1946 წელთან შედარებით 18,4 პროცენტით გაიზარდა.

1947 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ფულის რეფორმის გატარება და საბარათო სისტემის გაუქმება. ამ ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცეს შეგვეცვალა არასრულფასოვანი ფული მტკიცე მანეთით და გადავსულიყავით თავისუფალ გაშლილ ვაჭრობაზე ერთიანი სახელმწიფო ფასებით.

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა მანეთის სიმტკიცეს და ზრუნავდნენ ჩვენი ფულის სისტემის განმტკიცებისათვის. დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მანეთმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში და დიდი სამამულო ომის დროს.

ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ომიანობის დროის მოთხოვნათა შესაბამისად სამრეწველო წარმოების გარდასაქმნელად საჭირო იყო კოლოსალური თანხები. ამით იყო განპირობებული მიმოქცევაში ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება, რასაც არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მანეთის მყიდველობით ძალაზე. ამასთან, გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები მათ მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე უშვებდნენ ყალბ ფულს, რამაც დაანაგვიანა ჩვენი ფულის მიმოქცევა. ამიტომ საჭირო გახდა სპეციალურ ღონისძიებათა გატარება საბჭოთა ფულის სისტემის განსამტკიცებლად.

ფულის რეფორმის გატარება და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმება უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის აქტია. ფულის რეფორმამ უნდა მოსპოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში, აღადგინოს სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი და გააადვილოს უბარათებოდ ერთიანი სახელმწიფო ფასებით თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა.

ფულის რეფორმა მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, ხალხის მასების კეთილდღეობის ახალი, უფრო მეტი აღმავლობისაკენ და მთლიანად შეესაბამება მშრომელთა საარსებო ინტერესებს.

ფულის რეფორმამ და საბარათო სისტემის გაუქმებამ გაადიდა ხელფასისა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის როლი. სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი ხელსაყრელ წინაპირობებს ჰქმნის სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფ აღმავლობას, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას და, ამის საფუძველზე, მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლებას.

უკვე ამჟამად გაჩაღდა საწარმოთა ბრძოლა საწარმოო დავალებათა ხანიმუშოდ შესრულებისათვის, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად დიდდება ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება.

ფულის რეფორმის განხორციელებისა და ბარათების გაუქმების შედეგად ამაღლდა რეალური ხელფასისა და მოსახლეობის სხვა ფულადი შემოსავლის დონე, შეიქმნა დიდი მატერიალური სარგებლობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის. დაწესებულია პურისა და ბურღულის ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასები, რომელიც 10-12 პროცენტით ნაკლებია რეფორმამდე არსებულ საულუფო ფასებზე, გაუქმებულია სასურსათო და სამრეწველო საქონლის კომერციული ფასები. ამავე დროს ხელფასი და მშრომელთა სხვა ფულადი შემოსავალი შენარჩუნებულია წინანდელ დონეზე. როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობიდან ვიცით, მარტო სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით ჩვენი ქვეყნის მშრომელნი წლის განმავლობაში მიიღებენ 57 მილიარდ მანეთზე მეტ წმინდა სარგებლობას. გარდა ამისა, შემცირებულია კოოპერაციული ვაჭრობის ფასები. საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები შემცირდა 2-3-ჯერ, ხოლო ნოვოსიბირსკში, ორიოლში, სმოლენსკსა და ბევრ სხვა ქალაქში ისინი ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასების დონეზე ნაკლებიც კია.

საბჭოთა მანეთის განმტკიცება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა, თავისუფალი საბჭოთა ვაჭრობის გაჩაღება საჭირო პირობებს შექმნიან მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი გადიდებისათვის.

ყოველივე ეს პრინციპულად, ძირეულად განასხვავებს ჩვენს ფულის რეფორმას იმ რეფორმებისაგან, რომლებიც ტარდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. საბჭოთა სახელმწიფომ თვითონ იკისრა რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული მსხვერპლის მეტი წილი, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ფულის რეფორმების მთელი სიმძიმე მშრომელ მასებს აწვება და იწვევს ხელფასის შემცირებას, მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას, უმუშევართა რიცხვის ზრდას და მშრომელთა საარსებო დონის გაუარესებას.

კაპიტალისტური ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შედეგად განიცდიან უმწვავეს სავალუტო კრიზისს და ფულის სისტემის მოშლას. ბურჟუაზია ცდილობს მშრომელებს დააკისროს ომის შედეგები და მეურნეობის აღდგენის ხარჯები, რისთვისაც ფართოდ მიმართავს ინფლაციას, რაც კაპიტალისტებს შესაძლებლობას აძლევს უზომოდ გამდიდრდნენ ხალხის ხარჯზე.

ომით გამდიდრებული ისეთი კაპიტალისტური ქვეყანაც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, უმწვავეს ინფლაციას განიცდის. ომის შემდეგ იქ მცირდება სამრეწველო წარმოება, იზრდება უმუშევრობა, კაპიტალისტური მონოპოლიები სისტემატურად ადიდებენ საქონლის ფასებს. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებშია.

ყველა კაპიტალისტური ქვეყანა — ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, — მეურნეობისა და ფულის მიმოქცევის უმწვავეს მოშლას განიცდის. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც გადაიტანა ძირითადი სიმძიმე ყველაზე გამანადგურებელი და მძიმე ომისა, როგორსაც კი დღემდე მოსწრებია კაცობრიობა, ომის დამთავრების უკვე ორი წლის შემდეგ აღადგინა ფულის ნორმალური მიმოქცევა.

ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის მიღწევებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისაკენ, კულტურისა და მეცნიერების ახალი აყვავებისაკენ, თავისი სახელმწიფოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ახლახან დამთავრებულმა არჩევნებმა კვლავ ცხადჰყო ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის მძლავრი, ჭეშმარიტად ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, თავისი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 1947 წელს მოპოვებული შესანიშნავი მიღწევები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს ძალას და სიცოცხლისუნარიანობას, საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობას. ეს წარმატებები შედეგია საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომისა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისა, რაც მიმართულია დიად სამუშაოთა სტალინური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ. ეს წარმატებები მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობის მეოხებით, ბოლშევიკური პარტიისა, რომელიც რაზმავს და წარმართავს მშრომელთა ბრძოლას საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნისათვის.

ლენინგრადის მშრომელთა ინიციატივით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. მილიონობით საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ ამ ამოცანას და უეჭველია ხუთწლედის მესამე წელს ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, რომელიც მიდის წინ კომუნიზმისაკენ ლენინური გზით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ვიდრე გადავიდოდე 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის გადმოცემაზე, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და 1947 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები.

სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 325,4 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში 307,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. შემოსავალი გასავალს სჭარბობს 17,9 მილიარდი მანეთით.

1947 წელს ჩვენ გვქონდა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა 1946 წელთან შედარებით. 1946 წელთან შედარებით 1947 წლის ბიუჯეტის შემოსავალი გაიზარდა 59,8 მილიარდი მანეთით, ხოლო გასავალი 53,7 მილიარდი მანეთით.

წინასწარი შედეგების მიხედვით სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 385,2 მილიარდი მანეთით და გასავლის ნაწილში — 361,2 მილიარდი მანეთით, ანუ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, გასავალზე შემოსავლის 24,0 მილიარდი მანეთის გადამეტებით, ე. ი. დამტკიცებული თანხის 4 მილიარდი მანეთის გადამეტებით.

ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმა შესრულებულია 119,2 პროცენტით, სახელმწიფო სესხებისა — 115,6 პროცენტით და მოსახლეობის გადასახადებისა — 101,1 პროცენტით. ამასთან უნდა აღინიშნოს კომერციული ვაჭრობის ბრუნვის გადასახადის დანაკლისი, რის შედეგადაც მთლიანად 1947 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას დააკლდა 2,3 პროცენტი.

1947 წლის ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობაზე შეადგენს დამტკიცებული თანხის 100,6 პროცენტს და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 99,4 პროცენტს.

ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმით დასახული ამოცანების საფუძველზე 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოსავლის ნაწილში 428,0 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში 387,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ე. ი. გასავალზე შემოსავლის 40,1 მილიარდი მანეთის გადამეტებით.

გასავალზე შემოსავლის ასეთი გადამეტება, იმ დროს როცა ფულის რეფორმის გატარებისა და ბარათების გაუქმების შედეგად მოსახლეობამ სარგებლობა ნახა, ხოლო სახელმწიფომ, იკისრა რა მსხვერპლის დიდი ნაწილი, ზარალი განიცადა 57 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც დაკავშირებულია ფასების შემცირებასთან, მოწმობს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას და საბჭოთა საფინანსო სისტემის სიმტკიცეს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შედგენილია დაძაბულად, ვინაიდან აღარ არის შემოსავალი კომერციული ვაჭრობიდან, რომელსაც დიდი ადგილი ეკავა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში. ბიუჯეტის შედგენისას საჭირო გახდა ზოგიერთი საგასავლო მუხლის ერთგვარი შემცირება, საკავშირო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთელი რიგი პრეტენზიების გადადება სხვა დროისათვის, ვინაიდან აღარ არის შემოსავლის მთელი რიგი დიდი მუხლები, და საჭირო გახდა ზომების მიღება მოქმედი წყაროების მიხედვით შემოსავლის რაც შეიძლება სრული გამოვლინებისათვის. თავის მხრივ საჭირო გახდა დიდი ეკონომია სახსრების ხარჯვაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენ მოგველის ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ შევასრულოთ ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლები და ეკონომია გავწიოთ ხარჯებში.

შარშანდელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი დიდდება 42,8 მილიარდი მანეთით, ანუ 11,1 პროცენტით, ხოლო გასავალი — 26,7 მილიარდი მანეთით, ანუ 7,4 პროცენტით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება წარმოების ზრდის ხარჯზე სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავლის, საქონელბრუნვის გაჩაღების, პროდუქციის თვითღირებულებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირების, მშენებლობის გაიაფებისა და მეურნეობაში არსებული რეზერვების მობილიზაციის გადიდებასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის საერთო მოცულობაში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ხარჯების ხვედრითი წონა იზრდება 68,4 პროცენტამდე, ნაცვლად 66,2 პროცენტისა 1947 წელს, ხოლო ქვეყნის თავდაცვის ხარჯების ხვედრითი წონა მცირდება 17,0 პროცენტამდე, ნაცვლად 18,4 პროცენტისა გასულ წელს.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმით 1948 წლისათვის დასახული პასუხსაგები ამოცანები უდიდეს მოთხოვნებს უყენებენ საფინანსო და ბანკის მუშაკებს, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფისა და უმკაცრესი სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დამყარების დარგში.

სოციალისტური მეურნეობის გადასახდელთა შემოსავალი ბიუჯეტში

წარმოების მოცულობის ზრდა 1948 წელს და საქონელბრუნვის გადიდება ერთიანი სახელმწიფო ფასების გაჩაღებული ვაჭრობის საფუძველზე საჭირო წინაპირობებს ჰქმნიან ბიუჯეტში შემოსავლის გადიდებისათვის ბრუნვის გადასახადიდან და მოგების ანარიცხებიდან — სოციალისტური მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი შემოსავლიდან.

ბრუნვის გადასახადი 1948 წელს განსაზღვრულია 280,1 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 239,9 მილიარდი მანეთისა 1947 წელს.

ბრუნვის გადასახადის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით 1948 წელს იზრდება მოთხოვნები საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი საწარმოო პროგრამების შესრულების დარგში. ამავე დროს გასული წლის მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი მეურნეობის ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან უბნებზე გვქონდა არსებითი ნაკლოვანებანი სახელმწიფო დავალებათა შესრულების საქმეში. საფეიქრო მრეწველობის, აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის, სატყეო მრეწველობის სამინისტროების ბევრმა საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა. ქსოვილების წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. სედინი) ხაზით ბრუნვის გადასახადის დანაკლისი გასულ წელს შეადგენდა 271 მილიონ მანეთს. აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. ზახაროვი) თევზისჭერისა და რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის გამო ბიუჯეტს დააკლო ბრუნვის გადასახადი 358 მილიონი მანეთი. ასეთივე მდგომარეობა იყო სატყეო მრეწველობის სამინისტროშიც (მინისტრი ამხ. ორლოვი). ასანთის წარმოების პროგრამა შეუსრულებელი აღმოჩნდა, ხოლო ბიუჯეტმა ამით დაჰკარგა 65 მილიონი მანეთი ბრუნვის გადასახადი.

ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში მთელმა რიგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე. მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკის ხორცის მრეწველობის საწარმოებმა რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის გამო სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლეს ბრუნვის გადასახადი 39 მილიონი მანეთი. ბელორუსიის სსრ რესპუბლიკური საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობის გამო დააკლეს ბრუნვის გადასახადი 13 მილიონი მანეთი.

მთელ რიგ ოლქებში არის ფაქტები, როცა დიდი ხნით აჩერებენ მნიშვნელოვან საგადასახადო თანხებს სამეურნეო ორგანიზაციების ბრუნვაში. მაგალითად, ქალაქ პენზის ხორცკომბინატი სისტემატურად აჩერებდა თავისთან ბრუნვაში ბიუჯეტში შესატან დიდ თანხებს. ყირგიზეთის სსრ ფრუნზეს ხორცკომბინატმა 1947 წელს არაერთხელ შეაჩერა ბრუნვის გადასახადის შეტანა.

სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელები ადგებიან დასაბეგრი ბრუნვის დაფარვის გზას. უზბეკეთის სსრ სამარყანდის საქალაქო ვაჭრობამ 1947 წელს დამალა ნავთის პროდუქტების ვაჭრობის დასაბეგრი ბრუნვა და დაიტოვა 600 ათასი მანეთი.

მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საფინანსო ორგანოების მუშაობაში აგრეთვე არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთავრობამ შარშან მიუთითა სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არსებობდა ბრუნვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდევინების საქმეში. მაგრამ ცალკეული რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საფინანსო ორგანოები ჯერ კიდევ მტკიცედ არ იბრძვიან ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულებისათვის, საჭირო მოთხოვნებს არ უყენებენ სამეურნეო ორგანიზაციებს, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ გადასახადის ნარჩენების ლიკვიდაციისათვის. ამის შედეგად თუმცა დანაკლისი ბრუნვის გადასახადის დარგში მთლიანად საბჭოთა კავშირში 1947 წელს გადასახადის საერთო თანხასთან შედარებით შემცირდა 0,16 პროცენტიდან 0,11 პროცენტამდე, მაგრამ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებში იგი გაიზარდა. მაგალითად, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში (ფინანსთა მინისტრი ამხ. შუგაილო) დანაკლისი 1948 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 13 მილიონ მანეთამდე, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში (ფინანსთა მინისტრი ამხ. ისამეტდინოვი) — 19 მილიონ მანეთამდე. ეს შეეხება აგრეთვე ჩელიაბინსკის ოლქს (საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. კორშუნოვი), პენზის ოლქს (საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. რომანოვი) და მთელ რიგ სხვა ოლქებს, რომლებმაც მთლიანად ვერ აღმოფხვრეს ბრუნვის გადასახადის აკრეფის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ საფინანსო ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრან თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველჰყონ გეგმის შესრულება. თავის მხრივ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვონ საწარმოთა და ორგანიზაციათა იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც არ ასრულებენ საწარმოო გეგმებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე.

მოგების გეგმის შესრულება განუხრელი კანონია სამეურნეო მუშაკებისათვის, განსაკუთრებით ფულის რეფორმის გატარების შემდეგ. მათ ყოველმხრივ უნდა იბრძოლონ საწარმოთა რენტაბელობის გადიდებისათვის, წარმოების ხარჯების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის უკეთესი მეთოდების უფრო ფართოდ და გაბედულად დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა სტიმულის უფრო სრულად გამოყენებას, ყოველგვარ უყაირათობასთან დაუნდობელ ბრძოლას.

ჩვენში ცოტა საწარმო როდია, რომელთაც კარგი შედეგები მოაპოვებათ წარმოების ორგანიზაციის რაციონალიზაციისათვის, სახსრების ეკონომიისათვის, საწარმოო გეგმებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ არ არის ნამდვილად სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ქონებისადმი. საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ მატერიალური რესურსების ეკონომიისათვის, ზედმეტად ხარჯავენ ნედლეულს, მასალას, სათბობს და აქვთ სხვა დანაკარგები და ზარალი. ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საწარმოთა საქმიანობის სამეურნეო და საფინანსო შედეგებს, არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა ჯდება პროდუქციის ერთეულის გამოშვება, არ ცდილობენ გაადიდონ მეურნეობის რენტაბელობა და შეასრულონ მოგების გეგმა.

მაგალითად, ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ არ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ სამინისტროს ერთ-ერთ საწარმოში დაუშვეს დიდი დანაკარგები ნედლეულისა და მასალის ხარჯვაში. ყოველივე ამან გამოიწვია პროდუქციის ღირებულების გადიდება 25 მილიონი მანეთით. არასაწარმოო ხარჯებმა და მოწყობილობის მოცდენით გამოწვეულმა დანაკარგებმა ამ სამინისტროს საწარმოებში 1947 წელს 40 მილიონი მანეთი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება 1947 წელს მნიშვნელოვნად გაადიდა 1946 წელთან შედარებით. მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების გეგმა. მაგალითად, „ყაზახსელმაშმა" საწარმოო გეგმა შეასრულა მხოლოდ 31 პროცენტით, ქარხანა „კომუნარმა" — 38 პროცენტით, პერვომაისკის ქარხანამ—49 პროცენტით. ამის შედეგად სამინისტროს საწარმოებმა 1947 წელს დიდი ზარალი ნახეს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს კონტროლი საწარმოების მიერ საწარმოო პროგრამების და თვითღირებულების დავალებათა შესრულებისადმი, გააუმჯობესოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და არ დაუშვას ზარალი.

ბევრ შემთხვევაში არ იყენებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვან რეზერვებს. ამას მოწმობს ერთი და იგივე ნაკეთობის სხვადასხვა თვითღირებულება სხვადასხვა საწარმოში. მაგალითად, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ანდიჟანის ქარხანაში (დირექტორი ამხ. ვურკულსკი) კრამიტის წნეხის თვითღირე-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენება

(გაგრძელება)

ბულება საშუალოდ 1947 წლის 9 თვეში შეადგენდა 9.104 მანეთს, ხოლო იმავე სამინისტროს იჟევსკის ქარხანაში (დირექტორი ამხ. სამოდელკინი) 2.429 მანეთს.

თვითღირებულების ასეთი დიდი განსხვავება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ანდიჟანის ქარხანაში თვითეულ წნეხზე იხარჯება ორჯერ მეტი მასალა და ნახევარფაბრიკატები, ვიდრე იჟევსკის ქარხანაში. ზედნადები ხარჯები ანდიჟანის ქარხანაში ოთხჯერ მეტია, და დანაკარგი წუნისაგან — 5-ჯერ მეტი, ვიდრე იჟევსკის ქარხანაში.

შავი მეტალურგიის სამინისტროს ენაკიევოს მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. გონჩარენკო) 1947 წლის 9 თვეში ზედმეტად დახარჯა 5,1 მილიონი მანეთის ნედლეული და სათბობი. ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება ძალიან გაიზარდა.

ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ჩელიაბინსკის ელექტროდების ქარხანაში (დირექტორი ამხ. ბაი) მარტო წუნისაგან მიღებულმა დანაკარგებმა გასული წლის 9 თვეში შეადგინა 4,2 მილიონი მანეთი.

ამ ფაქტების მიხედვით ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის უყაირათობა. ეს ფაქტები გვიჩვენებენ აგრეთვე წარმოებაში დაფარულ უდიდეს რეზერვებს. ამ საწარმოების ხელმძღვანელებმა უნდა გადმოიღონ მოწინავეთა გამოცდილება, რათა უზრუნველჰყონ საგეგმო დავალებათა შესრულება, სისტემატურად შეამცირონ თვითღირებულება და ზედნადები ხარჯები. უნდა მოგაგონოთ, რომ ეკონომია ხარჯების შემცირებისაგან მხოლოდ 1 პროცენტით 1947 წელს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში შეადგენდა დაახლოებით 1,8 მილიარდ მანეთს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის გადიდების საკითხებს უნდა მიაქციონ მთელი ყურადღება საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა. მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება, საწარმოო პროგრამის შესრულებასთან ერთად, განხილულ უნდა იქნას როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

ბიუჯეტის შემოსავალი მოსახლეობისაგან

ბიუჯეტის შემოსავალი, რომელიც მოსახლეობისაგან შემოდის გადასახადებისა და სახელმწიფო სესხების სახით, ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხაში მცირდება 13,9 პროცენტიდან 1947 წელს 12,5 პროცენტამდე მიმდინარე წელს.

შემოსავალი სახელმწიფო გადასახადებიდან გათვალისწინებულია 31,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 28,0 მილიარდი მანეთისა 1947 წელს. ეს გადიდება ძირითადად აიხსნება გადასახადის გადამხდელთა რიცხვისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდების ზრდით. საქალაქო და სასოფლო გადასახადების განაკვეთები არ დიდდება.

გადასახადსა და გამოსაღებს მოსახლეობისაგან, მიუხედავად მათი უმნიშვნელო ხვედრითი წონისა ბიუჯეტში, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ისინი ეხებიან მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს. საფინანსო დარგის მუშაკები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან საგადასახადო კანონმდებლობა. მაგრამ ცალკეულ საფინანსო ორგანოებს თავიანთ მუშაობაში ჰქონდათ სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევანი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა ზუსტი აღრიცხვის უქონლობისა და საგადასახადო გადასახდელების აკრეფის ცუდი ორგანიზაციის ფაქტებს ადგილი ჰქონდა რსფს რესპუბლიკაში — კრასნოდარის მხარეში (სამხარეო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ნიფატოვი), ომსკის ოლქში (საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ოსეტროვი), კემეროვის ოლქში (საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ბირკინი); ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — ბარანოვიჩის ოლქში (საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. დუპანოვი); ლატვიის სს რესპუბლიკაში (ფინანსთა მინისტრი ამხ. ტაბაკსი).

აღნიშნული საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ და გააუმჯობესონ საგადასახადო მუშაობა.

ამასთან საჭიროა, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო, საოლქო და რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ საფინანსო საქმიანობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან უბანს.

სახელმწიფო სესხებით გათვალისწინებულია შემოსავალი 22,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 25,7 მილიარდი მანეთისა 1947 წელს. ამასთან წელს შემოსავალი სესხებიდან, რომლებიც ხელმოწერით ვრცელდება მოსახლეობაში, გათვალისწინებულია 20,0 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 1947 წლის მანძილზე იზრდებოდა. საფინანსო ორგანოებმა ადგილობრივი საბჭოების დახმარებით გააუმჯობესეს შემნახველი სალაროების მუშაობა, გააძლიერეს მათი ყურადღება მოსახლეობის მომსახურებისადმი.

ფულის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით შემნახველმა სალაროებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მოსახლეობის ანაბართა გადაფასებისა და 1938 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციების სახელმწიფო სამპროცენტიანი საშინაო მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე გადაცვლის დარგში.

ფულის რეფორმის გატარებისას, როგორც ცნობილია, დიდი შეღავათები მიეცათ მშრომელებს, რომელთაც თავიანთი სახსრები შენახული ჰქონდათ შემნახველ სალაროებში, იმ პირებთან შედარებით, რომელთაც ნაღდი ფული ჰქონდათ. მეანაბარეთა 80 პროცენტის დანაზოგი ანაბრების გადაფასებისას უცვლელი დარჩა. ეს ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის შემნახველი სალაროების მუშაობის გაფართოებისათვის ახალ მეანაბარეთა მოზიდვის დარგში.

1948 წლის დამდეგს მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში შეადგენდა 12,8 მილიარდ მანეთს. მიმდინარე წელს დასახულია ანაბართა თანხის გადიდება 1,5 მილიარდი მანეთით.

მოსახლეობის გადასახდელთა გეგმის შესრულება მოითხოვს საფინანსო ორგანოებისა და შემნახველი სალაროების განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საქმისადმი.

1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი

როგორც უკვე ვთქვი, სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1948 წლისათვის განსაზღვრულია 387,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ე. ი. 26,7 მილიარდი მანეთით მეტი ვიდრე 1947 წელს.

ძირითადი დარგების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი გათვალისწინებულია შემდეგი რაოდენობით:

(მილიარდ მანეთობით)

	შესრულება 1947 წელს	პროექტი 1948 წლისათვის	განსხვავება (+ —)
სულ გასავალი	361,2	387,9	+26,7
აქედან დასაფინანსებლად სახალხო მეურნეობისა	132,7	149,0	+16,3
სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა	106,5	116,3	+9,8
შეიარაღებული ძალების სამინისტროსი	66,4	66,1	—0,3
მმართველობის ხარჯებისა	13,0	13,5	+0,5
სახელმწიფო სესხების ხარჯებისა	6,5	3,5	—3,0

სახალხო მეურნეობასა და კულტურაზე სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ასეთი ზრდა უზრუნველჰყოფს ჩვენი ომისშემდგომი ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

შეიარაღებული ძალების შენახვაზე 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 66,1 მილიარდი მანეთი, რაც შეადგენს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიუჯეტის მთელი ხარჯების 17 პროცენტს. თუ ავიღებთ შესადარ ცნობებს, ხარჯები შეიარაღებულ ძალებზე 1948 წელს მცირდება 2,5 მილიარდი მანეთით 1947 წელთან შედარებით.

ბიუჯეტის ხარჯები სახალხო მეურნეობისათვის

1948 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯების საერთო თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები მოხმარდება:

(მილიარდ მანეთობით)

	1947 წ.	1948 წ.	განსხვავება (+ —)
მრეწველობას	83,9	93,9	+10,0
სოფლის მეურნეობას	16,8	20,0	+ 3,2
ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას	12,0	13,8	+ 1,8
ვაჭრობასა და დამზადებას	4,2	4,2	—

1948 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნობანი კაპიტალური მშენებლობისათვის დასახულია 60,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

უნდა ითქვას, რომ, კაპიტალური დაბანდებისათვის გადადებული სახსრების დიდი რაოდენობის მიუხედავად, საკმაო ნაწილი საკავშირო სამინისტროებისა და რესპუბლიკების პრეტენზიებისა კაპიტალურ დაბანდებათა გადიდების შესახებ არ დაკმაყოფილებულა, რათა ბიუჯეტის გადატვირთვა არ დაგვეშვა.

კაპიტალური მშენებლობის 1948 წლის გეგმა ითვალისწინებს დაბანდებათა თავმოყრას უწინარეს ყოვლისა იმ სამშენებლო ობიექტებზე, რომლებიც წელს უნდა ამოქმედდნენ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ ახალ საწარმოთა ამოქმედება და კაპიტალდაბანდებათაგან უფრო მალე მივიღოთ შედეგები, რასაც წელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს თანაბრად შეეხება საბინაო მშენებლობასაც, სადაც აგრეთვე ძლიერ ხშირად ჭიანურდება საცხოვრებელი ფონდის ამოქმედება.

ამ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანის შესრულება მოითხოვს იმ სახელმწიფო სახსრების დაქსაქსვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რომლებიც კაპიტალურ მშენებლობას ხმარდება. შარშან იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როცა ახალ მშენებლობათა ამოქმედება, სახსრების ბევრ მშენებლობაზე დაქსაქსვის შედეგად, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულებას.

მაგალითად, 1948 წლის 1 იანვრის წინასწარი ცნობების მიხედვით, რეზინის მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა შესრულდა 73 პროცენტით, ხოლო ამოქმედების გეგმა — მხოლოდ 53,7 პროცენტით. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა განხორციელდა 55,4 პროცენტით, ხოლო საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — 38 პროცენტით. საშენ მასალათა სამინისტრომ 1947 წელს კაპიტალდაბანდებათა გეგმა შეასრულა 60,3 პროცენტით, ხოლო საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — მხოლოდ 23,1 პროცენტით. სათბობ საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტრესტი „ესტონსლანცსტროი“ (მმართველი — ამხ. გოლდბერტი) მშენებლობას ეწეოდა 15 ობიექტზე და ვერ უზრუნველჰყო ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობის დამთავრება მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში.

1948 წელს უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენს მშენებლობის ღირებულების ყოველმხრივ გაიაფება, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვა, კაპიტალურ დაბანდებათა მაქსიმალური ეფექტიანობა და სახსრების კონცენტრაცია იმ მშენებლობებზე, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა იქნას გადაცემული. ეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს ხუთწლედის ბოლოსათვის სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირებას 12 პროცენტით 1945 წლის დონესთან შედარებით. ზოგიერთი სამინისტრო კი აძვირებს სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებას გეგმების შეუსრულებლობის, სახელმწიფო სახსრების უკანონოდ გამოყენებისა და საფინანსო დისციპლინის დაუცველობის გამო. მაგალითად, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს შავი ლითონების საწარმოთა მშენებლობის აღმოსავლეთის მთავარმა სამმართველომ (უფროსი — ამხ. ივანოვსკი) 1947 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 58,5 პროცენტით შეასრულა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებათა შეუსრულებლობის გამო ამ მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებმა გეგმით გათვალისწინებული დაგროვების ნაცვლად 1947 წელს მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ ყოველივე აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს და 1948 წელს უზრუნველჰყოს მშენებლობის ღირებულების შემცირება და სამინისტროს ყველა საწარმოს საფინანსო მეურნეობაში ჯეროვანი წესრიგის დამყარება.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ხაზითაც მთელი რიგი მთავარი სამმართველოები პროგრამას ვერ ასრულებენ, რის გამო „გლავვოენცენტრსტროის“ (მთავარი სამმართველოს უფროსი — ამხ. ვილვოვსკი) და „გლავვოენზაპსტროის“ (მთავარი სამმართველოს უფროსი — ამხ. მოგილნი) ზარალმა 1947 წელს 60 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს თავის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ხელმძღვანელობა და მიაღწიოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სერიოზულ განმტკიცებას.

კაპიტალური მშენებლობისათვის ასიგნებული სახსრების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებაში სერიოზული როლი დამკვეთებს უნდა ეკუთვნოდეთ, მათ კი ხშირად არ აინტერესებთ მშენებლობათა ფინანსური მდგომარეობა, თვალყურს არ ადევნებენ სახელმწიფო სახსრების მიზანშეწონილად ხარჯვას. არის ფაქტები, როცა დამკვეთები სამუშაოს მიღებისას ნატურით არ ამოწმებენ მას და ხელს აწერენ მიღება-ჩაბარების არასწორ აქტებს, რითაც ზარალს აყენებენ სახელმწიფოს.

მაგალითად, გასულ წელს ჩატარებული საკონტროლო აზომვით გამორკვეულია, რომ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სუროვიკინის სარძეო-საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე დამკვეთების მიერ ხელმოწერილი მშენებლობის მიღების აქტები 16,6 პროცენტით სჭარბობენ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას. სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს დოლგოვის სპირტის ქარხანაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა მიღების აქტებში 34,7 პროცენტის გადაჭარბებით არის ნაჩვენები.

დამკვეთებს მოიჯარეებთან ერთად სახელმწიფოს წინაშე სრული პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ მშენებლობისათვის გაღებული სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

სამშენებლო სამუშაოთა უდიდესი მასშტაბების დროს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მშენებლობის შინარესურსების მობილიზაციას. თავიანთი შინარესურსების მობილიზაციით მშენებლობანი და საწარმოები ბრუნვიდან გაათავისუფლებენ ფულად სახსრებს, რათა ეს სახსრები სახალხო მეურნეობაში ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში სამშენებლო ორგანიზაციები არ ახდენენ თავიანთი შინარესურსების მობილიზაციას და კვლავ შეაქვთ ზედმეტი და მათთვის არასაჭირო მასალა და მოწყობილობა, ზოგიერთი სამინისტრო კი არ ებრძვის ამას, არ აწარმოებს მასალების გადანაწილებას.

ზუევოს სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე ჯერ კიდევ 1946 წელს, ელექტროსადგურების სამინისტროს მითითებით, მიზიდულ იქნა 1 მილიონი მანეთის მოწყობილობა, რომელიც სადგურს სრულიად არ ესაჭიროებოდა. მას შემდეგ თითქმის უკვე ორი წელი გავიდა, მოწყობილობა კი გამოუყენებელი რჩება.

სამშენებლო ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებას ხუთწლიანი გეგმით დაწესებული ოდენობით, მასალებისა და მოწყობილობის უდიდესი რეზერვების მობილიზაციას. ეს ჩვენს ქვეყანას დიდ ეკონომიას მისცემს, დააჩქარებს მოწყობილობის ამოქმედებას, ხელს შეუწყობს გაფართოებული რეპროდუქციის ტემპების გადიდებას და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას.

წარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობის ზრდის შესაბამისად 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნობათა გადიდება საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდისათვის. საბრუნავი სახსრების ზრდის საერთო თანხა 1948 წლისათვის განსაზღვრულია 17,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე — 10,7 მილიარდი მანეთისა და სამეურნეო ორგანოების საკუთარი რესურსების ხარჯზე — 6,4 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

საბრუნავი სახსრების სწორ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს მათი ბრუნვის დაჩქარება. საბრუნავი სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მათი გაყინვა სასაქონლო-სამასალო ფასეულობათა არასაჭირო მარაგში არღვევს წარმოების ნორმალურ მიმდინარეობას, იწვევს საწარმოთა მთელი მეურნეობისა და ფინანსების დაძაბვას, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შეუსრულებლობას, მიმწოდებელთა წინაშე და სახელმწიფო ბანკის სესხების ხაზით ვადაგადაცილებული დავალიანების შექმნას.

სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განამტკიცონ სამეურნეო ორგანოების საანგარიშგებო და საკრედიტო დისციპლინა, არ დაუშვან საწარმოებში და მშენებლობებზე მასალისა და ნედლეულის ჭარბი მარაგის შექმნა, მოაგვარონ მათი სამასალო-სასაწყობო მეურნეობა, უფრო ხშირად შეამოწმონ მიმწოდებლებთან და სახელმწიფო ბანკთან ანგარიშსწორების მდგომარეობა და ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ საბრუნავი სახსრების გამოყენებაში.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად ადიდებს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯებს. 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ეს ხარჯები გათვალისწინებულია 116,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ე. ი. 9,8 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს იყო.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის ასიგნებული საერთო თანხიდან 59,1 მილიარდი მანეთი განათლების დაფინანსებას მოხმარდება.

მნიშვნელოვანი სახსრები გამოყოფილია დაწყებითი და საშუალო სკოლების შესანახავად. საყოველთაო სწავლების სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი წელს მიაღწევს 33,2 მილიონ კაცს და ომამდელ დონეს გადააჭარბებს.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადებას. 1948 წელს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვი იქნება 722 ათასი კაცი, ე. ი. გადააჭარბებს ახალი ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებას.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 1948 წელს ისწავლის 2.183 ათასი კაცი.

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყანა სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან მიიღებს 1.187 ათას კვალიფიციურ მუშას — შარშანდელზე 368 ათასით მეტს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი თანხები დაიხარჯება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა დაფინანსებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შარშანდელთან შედარებით 7,2 პროცენტით იზრდება. ეს უზრუნველჰყოფს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ჯანმრთელობის დაცვისათვის ბიუჯეტის ხარჯები 1948 წელს გათვალისწინებულია 20,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ამ ხარჯების ზრდა დამოკიდებული იქნება სამკურნალო დაწესებულებების, სამშობიარო სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოებაზე.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის, ე. ი. ძირითადად შრომისა და ომის ინვალიდებისათვის პენსიების გასაცემად ასიგნებულია 22,6 მილიარდი მანეთი.

ბიუჯეტით სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხარჯები შეადგენს 15,7 მილიარდ მანეთს.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შემდგომი განვითარებისათვის ასიგნებული უდიდესი სახსრების ეფექტიანი ხარჯვა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სასწავლებლების, სამკურნალო და სხვა დაწესებულებების ქსელის რაციონალურად აგებაზე. ცოტა როდია შემთხვევები, როცა სკოლები, ტექნიკუმები და სხვა სასწავლებლები იხსნება მათი ნორმალური დაკომპლექტების შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. ზოგჯერ იქმნება პარალელური სასწავლებლები, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს. ხდება ხოლმე, რომ არასრული საშუალო სკოლის უფროს კლასებში 6-8 მოსწავლე სწავლობს. განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების 1.928 საშუალო სპეციალური სასწავლებლიდან 260 სასწავლებელში 100-ზე ნაკლები მოსწავლე იყო. ყოველივე ეს იწვევს სწავლების ღირებულების გაძვირებას.

კულტურისათვის ასიგნებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობა ხშირად მცირდება იმის შედეგად, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები უყაირათობას იჩენენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, სცილდებიან დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებს, ხოლო ზოგჯერ სრულიად ფუჭ ხარჯებს ეწევიან. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თეატრებსა და კინოებში ახალ დადგმებზე გაწეული ხარჯები. აქ ხშირად ადგილი აქვს სახსრების გადაჭარბებულ ხარჯვას. მაგალითად, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მიერ ცალკეულ დადგმებზე გაწეული გადაჭარბებული ხარჯები 150 ათას მანეთს აღემატება. კუიბიშევის ოპერისა და ბალეტის თეატრმა 1947 წელს ახალ დადგმებზე გადაჭარბებით დახარჯა 375 ათასი მანეთი. აშხაბადის კინოსტუდია მესამე წელია ერთ ფილმზე მუშაობს და ვერ მოუხერხებია მისი დამთავრება.

მთავრობამ დაჰგმო ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მუშაობის მანკიერი პრაქტიკა. კომიტეტი არათუ არ იბრძოდა სახელმწიფო სახსრების რაციონალურად გამოყენებისათვის, არამედ ყურსაც წაუყრუებდა ხოლმე საფინანსო დისციპლინის დამრღვევთ.

ამაში ბრალი მიუძღვით საფინანსო დარგის მუშაკებსაც, რომლებიც ხელოვნებისათვის ასიგნებული სახელმწიფო სახსრების გამოყენებას ჯეროვან კონტროლს არ უწევდნენ.

საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი კულტურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებული სახსრების ხარჯვისადმი და უფრო სასტიკი პასუხი მოეთხოვოთ გადახარჯვის დამშვებთ და საფინანსო დისციპლინის დამრღვევთ.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტები

რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შემდგომ გაშლაზე დამოკიდებულია მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების ზრდა.

1948 წელს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტები გასულ წელთან შედარებით დიდდება 5,3 მილიარდი მანეთით და თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილია 87,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით ბიუჯეტების პროექტები გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით:

(მილიონ მანეთობით)

	1947 წ. შესრულება წინასწარი ცნობების მიხედვით	1948 წ.	%%-ბით 1947 წლის მიმართ
რუსეთის სფსრ	46.187	49.235	106,6
უკრაინის სსრ	14.714	15.419	104,8
ბელორუსიის სსრ	3.423	3.638	106,3
უზბეკეთის სსრ	3.104	3.292	106,1
ყაზახეთის სსრ	2.947	3.158	107,2
საქართველოს სსრ	2.156	2.334	108,3
აზერბაიჯანის სსრ	1.736	1.870	107,7
ლიტვის სსრ	1.042	1.198	115,9
მოლდავეთის სსრ	982	1.007	102,5
ლატვიის სსრ	1.321	1.449	109,7
ყირგიზეთის სსრ	893	930	104,1
ტაჯიკეთის სსრ	920	944	102,6
სომხეთის სსრ	1.043	1.055	101,2
თურქმენეთის სსრ	782	836	106,9
ესტონეთის სსრ	878	922	105,0
კარელია-ფინეთის სსრ	543	648	119,3

რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობისა და კოოპერაციის სისტემის საწარმოო პროგრამების ზრდა, აგრეთვე საქონელბრუნვის გაშლა ყველა წინაპირობას ჰქმნის რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის შემდგომი გადიდებისათვის და, მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის სერიოზული განმტკიცებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში მცირე როლს როდი ასრულებენ ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები. საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების აკრეფისადმი.

დიდი სახსრები ხმარდება მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების აღდგენასა და

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენება

(დასასრული)

[illegible]

ფულის რეფორმა და სამეურნეო და საფინანსო მუშაკთა ამოცანები

[illegible] დავნერგოთ და განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დგება მთელი სამეურნეო და საფინანსო-საკრედიტო მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნათლად უნდა ესმოდეთ ეს ახალი ამოცანები.

მეურნეობის ყველა დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება არა მარტო მთელი ამა თუ იმ დარგის მიერ, არამედ თვითეული ცალკე საწარმოს მიერაც.

1948 წლის გეგმით გათვალისწინებულია სასურსათო საქონლისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. ამ გეგმის შესრულება საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანეს მოვალეობას წარმოადგენს.

უფრო მეტ და უკეთესი ხარისხის საქონელს უნდა იძლეოდნენ სარეწაო კოოპერაცია და ადგილობრივი მრეწველობა. საბჭოთა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი შეღავათები მიანიჭა კოოპერაციას, რითაც ფართო შესაძლებლობანი შექმნა მისი შემდგომი განვითარებისათვის. ამ შესაძლებლობათა ენერგიულმა და ინიციატივიანმა გამოყენებამ უკვე ახლა უნდა უზრუნველჰყოს სხვადასხვა ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა.

საქონლის მასის გადიდება და საქონელბრუნვის ყოველმხრივ გაფართოება საიმედო საფუძველი იქნება ფულის რეფორმის შედეგების განმტკიცებისა და ფულის მყიდველობითი ძალის თანდათანობითი გადიდებისათვის.

საქონლის წარმოების გაფართოებასთან ერთად საჭიროა ყოველდღე ვცდილობდეთ წარმოების ხარჯების შემცირებას, რენტაბელობის ამაღლებას და მოგების გადიდებას მეურნეობის ყველა დარგში.

საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მომჭირნეობით ხარჯონ ნედლეული, მასალა, სათბობი და ელექტროენერგია, უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ წუნისა და სხვა დანაკარგების აღმოფხვრას წარმოებაში, სისტემატურად უნდა ამცირებდნენ ზედნადებ ხარჯებს.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გამოყენება, წარმოების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება საწარმოთა ხელმძღვანელების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მთელი საწარმოო კოლექტივის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია ბევრ სამრეწველო საწარმოში არსებული არასაჭირო, ზედმეტი მარაგის რეალიზაციას. სამწუხაროდ, ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი მიიჩნევა თავის საწარმოში ასეთი მარაგის არსებობას, ხოლო სამინისტროების მთავარი სამმართველოები ზოგჯერ მიდრეკილებას იჩენენ გაამართლონ ეს არაჯანსაღი პრაქტიკა, რაც სახელმწიფოს სერიოზულ ზარალს აყენებს. საწარმოებში მასალისა და მზა პროდუქციის ზედმეტი მარაგის არსებობა განსაკუთრებით შეუწყნარებელია ახლა, ფულის რეფორმის განხორციელების შემდეგ.

ბარათების გაუქმებასა და ფულის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით სავაჭრო ორგანიზაციებს მუშაობის ახვა სტილი მოეთხოვებათ. ცნო- [illegible]

[illegible] არასაჭირო საქონლის შეზიდვის დაუშვებლობა. სრულიად შეუწყნარებელია ისეთი ფაქტები, როგორიც, მაგალითად, 1947 წელს მოხდა აშხაბადისა და სტალინაბადის უნივერმაღებში, სადაც მსუბუქი ფერადი ქსოვილებისა და მსუბუქი ფეხსაცმლის ნაცვლად ზამთრის ფეხსაცმელი და თბილი საცვლები მიჰქონდათ.

სავაჭრო ქსელის რაციონალურად აგებისათვის, ასორტიმენტის სწორი განსაზღვრისათვის, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის შეზიდვისათვის საჭიროა ოლქებისა და რაიონების ეკონომიკის შესწავლა, მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინება, ვაჭრობის კულტურის ამაღლება. სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან მოსთხოვონ მიმწოდებლებს აუცილებელი საქონლის საჭირო ასორტიმენტის დროულად შეზიდვა. ამასთან ერთად საქონელბრუნვის გაფართოებისათვის ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი რესურსები.

საქონელბრუნვის დაჩქარების არსებითი ფაქტორი იქნება აგრეთვე ლიკვიდაცია სასაქონლო პროდუქციის ზედმეტი მარაგისა, რაც სამრეწველო საწარმოებში, გამსაღებელ ბაზებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში არის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შემდგომ გაფართოებას. კოოპერაციამ უნდა გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ყველა შესაძლებლობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში ვაჭრობისათვის, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის. ჩვენი ქვეყნის ბევრ ოლქსა და რაიონში არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაბალ ფასებში დამზადების შესაძლებლობა. საქალაქო ცენტრებში გასაყიდად შორეულ პუნქტებში ამ პროდუქტების დამზადება დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემის ენერგიულ მუშაობას შეუძლია უზრუნველჰყოს საცალო საქონელბრუნვის გადიდება მილიარდ მანეთობით.

საჭიროა მივაღწიოთ ბრუნვის ხარჯების შემცირებას, გავაძლიეროთ ბრძოლა სავაჭრო-მომმარაგებელი ორგანიზაციებისა და ცალკე მაღაზიების გაბერილი შტატების წინააღმდეგ, აღმოვფხვრათ სახელმწიფო სახსრების გადაჭარბებული ხარჯვა.

პასუხსაგები ამოცანები დგას საფინანსო და საბანკო მუშაკების წინაშე. საფინანსო ორგანოები სასტიკად უნდა ადევნებდნენ თვალყურს იმას, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, აგრეთვე მოსახლეობა ასრულებდეს ვალდებულებას ბიუჯეტის წინაშე. საფინანსო ორგანოები დროულად უნდა იყენებდნენ კანონით დაწესებულ ზეგავლენის ზომებს იმ სამეურნეო ორგანოების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე საფინანსო ვალდებულებებს არ ასრულებენ.

ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის უზრუნველყოფას. უნდა გვახსოვდეს, რომ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვა ფულის რეფორმის შედეგების განმტკიცების აუცილებელი პირობაა. საფინანსო ორგანოები და ბანკები მოვალენი არიან სასტიკი კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოს ყოველი კაპიკის ხარჯვას, დროზე მოუწოდონ წესრიგისაკენ იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებსაც არა სურთ მომჭირნეობით მოექცნენ სახალხო სახსრებს.

გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებმა [illegible]

[illegible] ბას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ საწარმოებში არ იქმნებოდეს სამასალო-სასაქონლო ფასეულობის ზედმეტი მარაგი და საჭიროების შემთხვევაში მივიღოთ საკრედიტო ზემოქმედების ზომები.

სახელმწიფო ბანკის ზოგიერთი კანტორა და განყოფილება სჯერდება საწარმოთა საფინანსო მეურნეობაში არანორმალურ მოვლენათა მხოლოდ რეგისტრაციას ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ აცნობებენ ზემდგომ ორგანიზაციებს ასეთ მოვლენათა შესახებ და ადგილზე არ იღებენ საჭირო ზომებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ახალ პირობებში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ოპერატიულად და სწრაფად უნდა გამოეხმაურონ საწარმოს მეურნეობაში არსებულ ყველა ნაკლოვანებას და უნდა ცდილობდნენ მათს დაუყოვნებლივ აღმოფხვრას.

საჭიროა სახელმწიფო ბანკმა სერიოზულად გააუმჯობესოს კონტროლი ხელფასის ფონდების ხარჯვისადმი, კერძოდ სხვადასხვაგვარ სამუშაოთა ასანაზღაურებელი ფულის გაცემისადმი, რაც ხელფასის ძირითად ფონდში არ შედის. აქ სახელმწიფო სახსრების დიდი თანხები ხშირად უმიზნოდ იხარჯება.

საფინანსო ორგანოები გადაჭრით უნდა ებრძოდნენ საფინანსო დისციპლინის ყველა და ყოველგვარ დარღვევას და სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვას, მათ სწრაფად უნდა მიიღონ ზომები რევიზიების შედეგების მიხედვით და დროულად მისცენ პასუხისგებაში ის პირები, ვისაც ბრალი მიუძღვის ბოროტმოქმედებასა და დარღვევაში.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! ომისშემდგომი ხუთწლედის გასული წელი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა კავშირის ხალხების შესანიშნავ წარმატებათა წელიწადი იყო.

მტკიცე საფუძველია ჩაყრილი იმისათვის, რომ მიმდინარე წელს ახალ წარმატებებს მივაღწიოთ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ფულის რეფორმა და სასურსათო სისტემის გაუქმება ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს. მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ხელს შეუწყობს კულტურის ახალ აყვავებასა და სსრ კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას.

თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად მიმართულია ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა წარმატებით გადაჭრისაკენ.

სრულიად უეჭველია, რომ საბჭოთა ხალხი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულოს 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რათა ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიოს კომუნისტური პარტიის, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მიერ დასახულ დიად სამუშაოთა პროგრამის განხორციელებაში.

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

გამოვიდა მორიგი ნომერი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“

[illegible]

სტალინგრადის ბრძოლის 5 წლისთავის დღესასწაული ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). [illegible] დილი გამართა სტალინგრადის ბრძოლის მე-5 წლისთავის აღსანიშნავად.

სადილზე იყო 200-მდე კაცი.

სიტყვებით გამოვიდნენ: „ამერიკა-ბიროპიჯანის კომიტეტის“ თავმჯდომარე ბუდიში, არ- [illegible] ლები და [illegible] ბრძოლა მშვიდობისათვის და საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. სადილის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის გენერალური კონსული ნიუ-იორკში ლომაკინი.

რუმინეთის მთავრობის დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა

ბუქარესტი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით სპეციალური მატარებლით ბუქარესტიდან მოსკოვს გაემგზავრა რუმინეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით. დელეგაციაში შედიან მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი გეორგიუ დეჟი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პაუკერი, შრომის მინისტრი რადაჩანუ და ამჟამად მოსკოვში მყოფი ფინანსთა მინისტრი ვასილე ლუკა. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. კავთარაძე. დელეგაციას ახლავს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ტექნიკური პერსონალი.

საფრანგეთის ეროვნული კრების კომისიათა ბიუროს წევრების არჩევისათვის

პარიზი, 30 იანვარი. (საკდესი). პარლამენტის კომისიების ხელახალი არჩევნების დროს 1948 წლის საპარლამენტო სესიის დაწყებასთან დაკავშირებით მთელი რიგი კომუნისტები ჩამოაშორეს პარლამენტის კომისიათა ხელმძღვანელ პოსტებს. მაგალითად, საგარეო საქმეთა კომისიაში მარსელ კაშენის ნაცვლად თავმჯდომარედ აირჩიეს ედუარდ ბონფუ (ეგრეთწოდებული „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი“), თავმჯდომარის მოადგილედ — პოლ რივე (სოციალისტური პარტია). სოფლის მეურნეობის კომისიაში თავმჯდომარედ არჩეულია რაიმონ მონდო („სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა“), ნაცვლად კომუნისტ ვალდეკ როშესი, გარდა ამისა, შინაგან საქმეთა კომისიაში ნაცვლად დ,ასტიე დე ლა ვიჟერისა (წინააღმდეგობის რესპუბლიკური კავშირი, რომელიც კომპარტიას ემხრობა) არჩეულია სოციალისტი კორდონიე. ამრიგად, კომპარტია ჩამოაშორეს კომისიების ყველა ხელმძღვანელ პოსტს. მხოლოდ მიმოსვლის საშუალებათა კომისიაში თავმჯდომარედ არის კომუნისტი მიდოლი.

რესპუბლიკის საბჭოში კომუნისტებს კომისიის თავმჯდომარის სამი პოსტი აქვთ—შრომის, იუსტიციისა და მომარაგების კომისიაში.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ კომუნისტების მოცილება სოციალისტების, დეგოლელებისა და რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის საქმეა.

საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან კაშენის ჩამოშორების თაობაზე მადლენ ბრაუნმა კომუნისტური ჯგუფის სახელით შემდეგი განაცხადა: „წინანდელი თავმჯდომარის გადაყენება მარტო იმისათვის, რომ იგი კომუნისტია, ანტიდემოკრატიულ აქტს წარმოადგენს. თავის დროზე, როცა ამ შენობაში დემოკრატიულ წესებს პატივს სცემდნენ, თავმჯდომარეთა პოსტების განაწილება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით ხდებოდა. მაგრამ თქვენ საზღვარგარეთიდან ბრძანება მიიღეთ — გააძევოთ ყველა ადგილიდან კომუნისტები — პარლამენტის ყველაზე ძლიერი ჯგუფი და ასრულებთ ამ ბრძანებას, რითაც ამტკიცებთ, თუ რამდენად დაქსაქსულია, თქვენი უმრავლესობა... ისეთ კომისიაშიც კი, როგორიცაა ჩვენი კომისია, რომელიც მოწოდებული არ არის საკანონმდებლო როლი შეასრულოს და რომელსაც მთავრობა დიდ ანგარიშს არ უწევს, თქვენ ვერ აგიტანიათ, რომ თავმჯდომარეობა გადაეცეს პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ყოველ შემთხვევაში იცავს საფრანგეთის დამოუკიდებლობას. თქვენს მიერ წარმოდგენილი ბიურო ანტიდემოკრატიული ბიურო იქნება. ამიტომ ჩვენ უარს ვამბობთ ბიუროში მონაწილეობაზე. მომავალში ჩვენ ყველა საჭირო დასკვნას გამოვიტანთ ამ კომისიაში ჩვენი შემდგომი მოქმედების შესახებ“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის საკონტროლო კომისიის სამუშაო კომიტეტში

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის საკონტროლო კომისიის სამუშაო კომიტეტში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის წინადადებათა დაწვრილებით განხილვა ამ მასალის საერთაშორისო კონტროლის შესახებ, საიდანაც ატომის ენერგიას იღებენ. შეერთებული შტატების თვალსაზრისის მომხრე უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კვლავ სცადა აეძულებინა საბჭოთა დელეგაცია ხელი აელო თავის პოზიციაზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ატომური შეიარაღების აკრძალვა პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ეფექტიანი კონტროლის სისტემაში. მაგრამ საბჭოთა წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ გაიმეორა, რომ ატომური შეიარაღების აკრძალვის კონვენციის დადება და რატიფიკაცია წინ უნდა უსწრებდეს კონტროლის კონვენციის დადებას გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის შესაბამისად.

საფრანგეთის წარმომადგენელი დე როზი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია მიუღებელია, რადგან იგი თითქოს არ გვიჩვენებს, თუ რანაირად გააუმჯობესებს შემდგომ კონტროლს ატომური შეიარაღების აკრძალვა, განხორციელებული როგორც პირველი ნაბიჯი.

ანალოგიურ დებულებას ამტკიცებდა შეერთებული სამეფოს წარმომადგენელი მაილსი.

შემდეგ კანადის წარმომადგენელმა ბაბიტმა მიმართა გრომიკოს და სთხოვა „კატეგორიული ფორმით გაეცა პასუხი შეკითხვაზე, რომელიც შეერთებულმა სამეფომ შარშან აგვისტოში მისცა საბჭოთა კავშირს,—აპირებს თუ არა საბჭოთა კავშირი შესცვალოს თავისი პოზიცია და დაეთანხმოს იმაზე, რომ ატომური შეიარაღების აკრძალვის კონვენცია ძალაში შევიდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც „დამაკმაყოფილებლად განხორციელდება“ კონტროლის კონვენცია. გრომიკომ განაცხადა, რომ, საბჭოთა დელეგაციის აზრით, ატომური შეიარაღების აკრძალვის კონვენცია ხელმოწერილ, რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევიდეს სხვა კონვენციების დადებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნა გრომიკომ, პირველი კონვენცია უაზრო ფარატინა ქაღალდი იქნება.

როცა თავმჯდომარემ—სირიის წარმომადგენელმა ელ-ხურიმ იკითხა, ატომური შეიარაღების აკრძალვა ატომური შეიარაღების არსებული მარაგის მოსპობას ხომ არ უნდა ნიშნავდესო, გრომიკომ დადებითი პასუხი გასცა: 3 თვის განმავლობაში, როგორც აღნიშნულია კონვენციის 1946 წლის საბჭოთა პროექტში. გრომიკომ უარჰყო საფრანგეთისა და ინგლისის არგუმენტები იმის შესახებ, რომ აკრძალვა ვერ უზრუნველჰყოფს კონტროლის მიღებას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, საბჭოთა კავშირს აკრძალვა უფრო სასწრაფო ამოცანად მიაჩნია, მაგრამ აგრეთვე წინადადებას იძლევა—დადებულ იქნას მეორე კონვენცია პირველი კონვენციის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამის შემდეგ ჩინეთის წარმომადგენელმა ვეიმ განაცხადა, რომ მას სურს ზოგიერთი გარანტია ჰქონდეს იმისა, რომ როგორც კი მიღწეულ იქნება შეთანხმება აკრძალვის შესახებ, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის აზრთა სხვადასხვაობა არ შეიქმნას კონტროლის კონვენციის შესახებ.

გრომიკომ უპასუხა, რომ შეთანხმება დამოკიდებულია საფუძვლის გამონახვაზე, რასაც საბჭოთა დელეგაცია მუდამ ესწრაფვის. მაგრამ აღნიშნულ იქნა, რომ როცა ზოგიერთ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, ზოგი წევრი ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო, რათა აზრთა სხვადასხვაობა გაეძლიერებინა. მაშინ საბჭოთა დელეგაცია იძულებული გახდა იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ არც ერთ წევრს არ სურს შეასრულოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი. დასასრულ გრომიკომ სთქვა, რომ შეთანხმების საფუძველი გამონახულ უნდა იქნას რეალისტურ წინადადებაში და არა „აბსოლუტურად არარეალისტურ“ ამერიკულ გეგმაში.

ახალი „საკოლმეურნეო“ ბაზარი

[illegible]

ალ. ტურჩუმია

„ალუბლები ჰყვავიან“

[illegible]

ჭადრაკი

[illegible] ვეღარ დაალწია თავი დამარცხებას.

ტურნირის მეორე ლიდერი შიშოვი მავებით ეთამაშა ფალავანდიშვილს. პარტია, დაძაბული ბრძოლის შემდეგ, შიშოვის გამარჯვებით დამთავრდა.

საინტერესოდ გაითამაშა თავისი პარტია ცინცაძემ ბუსლაევთან. ცინცაძის ფიგურები დაეუფლა მთელ დაფას. ბუსლაევმა ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა, ჩავარდა ცაიტნოტში და დამარცხდა.

მეორეჯერ დამარცხდა საქართველოს ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკე ბლაღიძე ქარსელაძესთან.

ჯაკობიამ მოუგო ნეკრასოვს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხშაბათს, 4 თებერვალს, შესდგება გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება.

ა. ეგრალიძე

ახალი წიგნები

სახელგამმა გამოსცა მწერალ **კონსტანტინე გამსახურდიას** თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიც შესულია ტრილოგიის—„მთვარის მოტაცების“ სამივე წიგნი.

* * *

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა **შიო არაგვისპირელის თხზულებათა სრული** კრებული. ტომი I და II ს. ჭილაიას რედაქციით. **პირველ ტომს** წამძღვარებული აქვს ს. ჭილაიას წინასიტყვაობა; მასში მოთავსებულია 44 მოთხრობა.

მეორე ტომში შეტანილია 35 მოთხრობა, რომანი „გაბზარული გული“ და პიესები: „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ და „შიო თავადი“.

მწერალთა კლუბში

ოთხშაბათს, 4 თებერვალს, დღის 2 საათზე, მწერალთა კავშირის კლუბში პოეზიის სექცია და ახალგაზრდა მწერალთა შორის მომუშავე კომისია აწყობენ ახალგაზრდა პოეტის **მურმან ლებანიძის** ახალი პოემის **„ზვარეთის რძალის“** კითხვა-განხილვას.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

დავით, კონსტანტინე, ლევან, ანა ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ნიკოლოზის-ძე დიასამიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-II, 7 ს. გამოსვენება 4-II, 4 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 5.

რ. მურცხვალაძე, ს. სილაგაძე, ი. რამიშვილი, დ. კოპალიანი, ე. ჩაკვეტაძე, შ. დავითულიანი, ა. მეშკუდიანი, გ. მეშკუდიანი, გ. ხეცურიანი, ა. ბაკურაძე, მ. მახარობლიძე, ს. კოპალიანი, პ. ცვარიანი იუწყებიან ამხ. ი. ბურჯალიანის მამის **მარკოზის** გარდაცვალებას.

დედა ესმა, დები ვალენტინა ჯიქია, თალიკო კანდელაკი, სიძე შ. ადამია ოჯახებით იუწყებიან **კალისტრატე ივანეს-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-II, 5½ ს. ბარნოვის, 8.

მეუღლე მარო, შვილები ნინო, ანტონინა, ივანე, ტატა კანდელაკები, სიძეები ნ. გვევიშიძე, კ. ჯავახიშვილი იუწყებიან **კალისტრატე ივანეს-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-II, 7 ს. გამოსვენება 5-II, 5½ ს. ბარნოვის, 8.

მამა ლუკა, ძმები შალვა, გიორგი, დები ოლია, თამარ, ელენე, სიძეები დ. წერეთელი, დ. კოზირიძე, გ. ჭილახვარი ოჯახებით იუწყებიან **ქეთო სიმონიშვილი-გოდერძიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-II, 5½ ს. კლარა ცეტკინის, 63.

მეუღლე თინათინ, შვილები ნორა, შალვა ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ნიკოლოზის-ძე დიასამიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-II, 7 ს. გამოსვენება 4-II, 4 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 5.

სეით და სონია ლარცულიანები იუწყებიან **მარკოზ ბურჯალიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-II ორბელში (ცაგერის რ.).

საქართველოს კ. პ. (ბ) ქვემოსვანეთის რაიკომის და რაიაღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან ამხ. ი. ბურჯალიანის მამის **მარკოზ ბურჯალიანის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნო—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00011